

„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“

“Rail Power Supply system’s mechanic”

BTEC-ის საერთაშორისო მესამე დონის კვალიფიკაცია
ელექტრულ/ელექტრონულ ინჟინერიაში

BTEC International Level 3 Qualification in Electrical/Electronic Engineering


BTEC სტუდენტის სახელმძღვანელო BTEC Student Handbook

სარჩევი

შესავალი	3
გასავლელი მოდულების სია	4
BTEC-ის პროგრამის რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის მოდულებთან შესაბამისობა	5
BTEC-ის კვალიფიკაციის შესახებ	6
რა უპირატესობა აქვს BTEC კვალიფიკაციას?	6
BTEC პროგრამის შეფასების კრიტერიუმები	6
BTEC-ის პროგრამის მოდულების შეფასების პროცესი	8
შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა.....	9
ვერიფიკაციის პროცედურა	10
შეფასების მტკიცებულება.....	11
პლაგიატი	13
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები	14
მსმენელის უფლებები და ვალდებულებები	16
სწავლის ხელმისაწვდომლობა, უსაფრთხო გარემო	17
საკონტაქტო ინფორმაცია	17
დანართები (1,2)	18

შესავალი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა 2020 წლის 28 ივლისს მოიპოვა პირსონის კვალიფიკაციების განხორციელების უფლება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა. კოლეჯს მოპოვებული აქვს BTEC-ის სტატუსის გაცემის უფლება 2025 წლის ჩათვლით და ახორციელებს BTEC-ის პროგრამას ტრადიციული სწავლების ფორმით(face to face delivery). პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ BTEC-ის მესამე დონის საერთაშორისო დიპლომს ელექტრულ/ელექტრონულ ინჟინერიაში. BTEC-ის კვალიფიკაციის მისაღებად საჭიროა 720 საათის, 29 კრედიტის წარმატებით გავლა.



გასავლელი მოდულების სია

Unit57	Electrical and Electronic Principles/ ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	Mandatory/სავალდებულო
Unit 1	Mechanical Principles/ მექანიკური პრინციპები	Mandatory/სავალდებულო
Unit 14	Electrical Installation of Hardware and Cables/ აპარატურისა და კაბელების ელექტრული მონტაჟი	Optional/არჩევითი
Unit 16	Three-Phase Electrical Systems/ სამფაზიანი ელექტრო სისტემები	Optional/არჩევითი
Unit 18	Electrical Power Distribution and Transmission/ ელექტროენერჯის განაწილება და გადაცემა	Optional/არჩევითი
Unit2	Delivery of Engineering Processes Safely as a Team/ საინჟინრო პროცესების უსაფრთხოება რკინიგზის ელექტრომომარაგებაში	Optional/არჩევითი
Unit21	Electronic Measurement and Testing of Circuits/ სქემების ელექტრონული გაზომვა და ტესტირება	Optional/არჩევითი
Unit3	Product Design and Manufacture in Engineering/ პროექტირება და დანერგვა ელექტრომომარაგების ინჟინერიაში	Mandatory/სავალდებულო
Unit30	Mechanical Measurement and Inspection Technology/ მექანიკური გაზომვისა და შემოწმების ტექნოლოგია	Optional/არჩევითი
Unit58	Entrepreneurship and Intrapreneurship in Practice / მექარმეობა პრაქტიკაში	Optional/არჩევითი
Unit8	Further Engineering Mathematics/ დამატებითი საინჟინრო მათემატიკა	Optional/არჩევითი
Unit9	Work Experience in the Engineering Sector/ სამუშაო გამოცდილება ელექტრომომარაგების (მაღალი ძაბვის) საინჟინრო სექტორში	Optional/არჩევითი

BTEC-ის პროგრამის რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის მოდულებთან შესაბამისობა

მოდულების თანამიმდევრობა სასწავლო გეგმის მიხედვით	მოდულის რიგითი ნომერი პროგრამაში	მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი
1	4	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები (სარეგისტრაციო ნომერი 0731301)
2	9	საზენკლო ოპერაციების შესრულება (სარეგისტრაციო ნომერი 0731332)
3	10	მათემატიკა ელექტროსისტემებისთვის (სარეგისტრაციო ნომერი 0731308)
4	13	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში სამუშაო გარემოს ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გატარება (სარეგისტრაციო N731335)
5	14	ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების და დამცავი საშუალებების ელექტრული, მექანიკური და გეომეტრიული პარამეტრების გაზომვა (სარეგისტრაციო N731336)
6	7	მენარმეობა 2 (სარეგისტრაციო ნომერი 0410004)
7	16	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი (სარეგისტრაციო N731338)
8	17	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი. (სარეგისტრაციო N731339)
9	18	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის პრაქტიკული პროექტი (სარეგისტრაციო N731340)
10	16; 17	რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების მიმდინარე რემონტი (სარეგისტრაციო N731338) რკინიგზის ელექტრომომარაგების მოწყობილობა - დანადგარების კაპიტალური რემონტი. (სარეგისტრაციო N731339)

BTEC-ის კვალიფიკაციის შესახებ

BTEC-ის კვალიფიკაციის მისაღებად:

- ❖ აუცილებელია BTEC-ის პროგრამაში შემავალი ყველა მოდულის დადასტურება;
- ❖ პროფესიულ სტუდენტს არ შეუწყდეს/შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი;
- ❖ წარმატებით დაასრულოს BTEC-ის პროგრამა;
- ❖ ჩააბაროთ BTEC-ის ყველა შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

რა უპირატესობა აქვს BTEC კვალიფიკაციას?

- BTEC-ის კვალიფიკაცია აღიარებულია საერთაშორისო დონეზე;
- BTEC-ის კვალიფიკაციის მფლობელებს შეუძლიათ დასაქმდნენ საერთაშორისო ბაზარზე და გაუწიონ კონკურენცია ადგილობრივ კადრებს.

BTEC პროგრამის შეფასების კრიტერიუმები

Pass- To achieve a pass grade, students need to demonstrate a sufficient level of understanding of the subject material.

Merit- A merit grade requires students to demonstrate a higher level of understanding, application and/or analysis of the subject material.

Distinction- A distinction grade is awarded to students who demonstrate outstanding understanding, application, analysis, and evaluation of the subject material.

Referral – To gain a PASS or above for the complete assignment, a minimum of a pass must be achieved for each criterion being assessed. If the pass criteria are not met for any element, the complete assignment will be referred. If you receive this grade you must study and act upon any advice given by your tutor in the feedback. Your tutor will specify the areas of weakness and offer some advice on how to rectify these weaknesses e.g. you need to evaluate not simply describe; answer is not focused on the

question. A SMART plan will also be included. You will need to revisit the assessment criteria and be sure of what is expected of you. You will then need to improve the referred elements to a minimum of a pass and resubmit.

შეფასების კრიტერიუმების თავსებადობა BTEC პროგრამის მოდულებთან	
Unit 1	P1-P8; M1-M4; D1-D3;
Unit 2	P1-P8; M1-M3; D1-D3;
Unit 3	P1-P11; M1-M9; D1-D3;
Unit 9	P1-P8; M1-M4; D1-D3;
Unit 14	P1-P6; M1-M4; D1-D3;
Unit 16	P1-P7; M1-M4; D1-D3;
Unit 18	P1-P6; M1-M5; D1-D3;
Unit 21	P1-P7; M1-M5; D1-D3;
Unit 30	P1-P7; M1-M5; D1-D3;
Unit 58	P1-P6; M1-M3; D1-D3;
Unit 8	P1-P6; M1-M5; D1-D3;
Unit 57	P1-P8; M1-M4; D1-D3;

BTEC-ის პროგრამის მოდულების შეფასების პროცესი

BTEC-ის პროგრამის მოდულების შეფასების პროცესი მოიცავს:

- ✓ სასწავლო გეგმის მიხედვით კოლეჯის პროგრამის და პირსონის მოდულების (AAB; PSA) პირველადი და განმეორებითი შეფასების თარიღების განსაზღვრას;
- ✓ დადგენილი თარიღების მიხედვით პროგრამის თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების ჩატარებას;
- ✓ მტკიცებულებების სისტემატიზაციასა და წარმოდგენას;
- ✓ პროგრამის და პირსონის მოდულების (AAB; PSA) შიდა ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვასა და ჩატარებას.

შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) **ვალიდურობას**-ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი, რომელიც არკვევს შეფასების მიზნის შესაბამისობას სწავლის შედეგთან; ვალიდურობა იძლევა შესაძლებლობას მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდეს პროფესიული სტუდენტის კონკრეტული კვალიფიკაციის ფარგლებში შესაბამისი ცოდნა და უნარები. შეფასება არავალიდურია იმ შემთხვევაში, თუ შეფასების მოთხოვნები მიზანთან/სწავლის შედეგთან შეუსაბამოა;

ბ) **სანდობას**- სანდოა შეფასება თუ: 1. შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს; 2. გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები; 3. ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს; 4. ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

გ) **გამჭვირვალობას**;

დ) **სამართლიანობას**;

ე) **ობიექტურობას**.

ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.

შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა

1. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.
2. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებიდან.
3. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში მეთოდოლოგიური დახმარებისთვის მიმართოს კოლეჯის სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს.
4. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებულ პროექტებს იხილავს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში.
5. შეფასების ინსტრუმენტს მოდულის განმახორციელებელი მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ

შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისათვის.

6. ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით.

7. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი

რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უზრუნდება მოდულის განმახორციელებელ პირს,

რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.

8. შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის

მენეჯერის მიერ შტამპდასმული და დათარიღებული, ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის

გამოყენება.

ვერიფიკაციის პროცედურა

1. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით

დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი.

2. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება

კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი.

ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების

ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში.

3. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების

შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით.

4. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება დანართ №3-ით განსაზღვრული სქემის

შესაბამისად.

5. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შედგება დასკვნა

(დანართი №4), რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა.

6. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განსახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს.

7. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

შეფასების მტკიცებულება

1. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ციფრული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში.

2. შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს.

3. შეფასების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

4. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში

წარუდგინოს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს შეფასების მტკიცებულებები. ხოლო თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს იმ პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომლებმაც ვერ დაიდასტურეს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. განმეორებითი შეფასებისას, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს წარუდგინოს არაუგვიანეს ახალი მოდულის დაწყებამდე 1 დღით ადრე.

5. შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით.

6. არქივში გადაცემული შეფასების მტკიცებულების გამოთხოვაზე უფლებამოსილი პირი - კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ან გარე შემფასებელი კოლეჯის დირექტორის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, მის მიერ განსაზღვრული ვადით არქივიდან გამოითხოვს შეფასების მტკიცებულებებს. ამავე დროს, გამომთხოვი პირი წერილობით ადასტურებს, რომ დაიცავს პერსონალურ ინფორმაციას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

7. შეფასების მტკიცებულებების განადგურება ხორციელდება პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადაში, დადგენილი წესით.

პლაგიატი

პლაგიატი არის სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან/და აუდიო-მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემის მითვისება, თარგმნა და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;

პლაგიატის შემთხვევებია:

- თვითპლაგიატი – საკუთარი ნაშრომის სხვა, ახალ ნაშრომში გამოყენება თავდაპირველი წყაროს მითითების გარეშე;
- ფალსიფიკაცია – აკადემიურ ნაშრომში მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება, დამახინჯება;
- სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის სხვადასხვა მეთოდით, არაკეთილსინდისიერი გზით მოპოვება, მითვისება, გავრცელება ავტორის თანხმობით ან თანხმობის გარეშე;
- სხვათა სიტყვების ან იდეების გამოყენება წყაროს მითითების გარეშე;
- ციტირების წესების დარღვევა, სადაც ამის აუცილებლობა არსებობს;
- ციტირებისას არასწორი ინფორმაციის მითითება.

ავტორმა ცხადად უნდა წარმოადგინოს ნაშრომის რა ნაწილებია მისი და რომელი მონაკვეთია აღებული სხვისი ნამუშევრიდან. სხვა ავტორის ნამუშევრის გამოყენებისას ყოველთვის მიუთითეთ შესაბამის წყაროზე ისე, რომ მკითხველისთვის შესაძლებელი გახდეს წყაროს მოძიება. სხვისი ტექსტის გამოყენებისას, უმჯობესია მიმართოთ პარაფრაზირებას, ხოლო თუ კონკრეტული ციტატა მოგყავთ, საჭიროა ტექსტი ჩასვთ ბრჭყალებში.

ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ყოველთვის მიუთითოთ წყარო, რადგან ყველა სამეცნიერო ნაშრომი უნდა ემყარებოდეს წინა შრომების შედეგებს. წყაროების მითითება შესაძლებლობას იძლევა, რომ ახალი ნაშრომი წარმოდგენილი იყოს უფრო ფართო კონტექსტში და გამოიკვეთოს მისი კავშირი სხვა კვლევებთან. წყაროს მითითება ასევე გამოიყენება მეთოდებისა და ცნებების განსაზღვრისთვის.

წყაროების მითითებით შესაძლებელია, რომ პლაგიატის უმეტესი შემთხვევა თავიდან იქნას აცილებული. უბრალოდ, საკმარისია იმის აღიარება, რომ გარკვეული მასალა აღებული იყო

სხვა წყაროდან და აუდიტორიას/მკითხველს მივაწოდოთ საჭირო ინფორმაცია წყაროს მოსამიებლად.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (შემდგომში - დაწესებულება) სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და დაწესებულების წესდების საფუძველზე.

წინამდებარე მექანიზმების მიზანია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებებს, ასევე პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესის ხელშეწყობასა და სტუდენტური ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე

პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირება

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება:

ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევს დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, კერძოდ, მიღებულ პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადის პირველივე სასწავლო დღეს ისინი გეგმავს და უზრუნველყოფს მათთან გაცნობით შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობენ კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეხვედრას ხსნის კოლეჯის დირექტორი, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ. რის შემდეგაც შეხვედრაში მონაწილე დაწესებულების სხვა თანამშრომლები აცნობენ დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ. აღნიშნული შეხვედრა სრულდება დაწესებულების შენობაში ექსკურსიის მოწყობით

მხარდაჭერის ღონისძიებები

პროფესიული სტუდენტი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის განსახორციელებლად დაწესებულება იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

1. პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.
2. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პერიოდულად, ორგანიზებას უწევენ პროფესიულ სტუდენტებთან ჯგუფურ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც იკვეთება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და აღნიშნულის მიხედვით იგეგმება სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობათა განხორციელება.
3. პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის მიერ მომართვის შემთხვევაში, მომართვიდან ორი დღის განმავლობაში სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი გეგმავენ შეხვედრას აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც განიხილავენ მის/მათ საჭიროებებს, უწევენ კონსულტაციებს და შესაბამისად რეაგირებენ.
4. პროფესიული სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ცნობის გაცემა - მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში. შენიშვნა: პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგების გაცნობა და ინდივიდუალური კონსულტაცია წარმოებს კონფიდენციალურად. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა მიიჩნევა გადაცდომად.

მსმენელის უფლებები და ვალდებულებები

მსმენელს უფლება აქვს:

1. მიიღოს ხარისხიანი განათლება;
2. ისარგებლოს პსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
3. მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება;
4. გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;
5. მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ;
6. პსდ-ს მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მსმენელი ვალდებულია:

1. დაემორჩილოს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს და პროგრამის განმახორციელებელ პირებს ან სასწავლო პროცესში ჩართული სხვა უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;
2. მზრუნველობით მოეპყროს და გაუფრთხილდეს პსდ-ს ქონებას;
3. პატივი სცეს სხვა მსმენელის ღირსებას, არ დაუშვას მისი დაჩაგვრა ან რაიმე ქმედების იძულება;
4. დაიცვას და პერიოდულად ეცნობოდეს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ პსდ-ს სამართლებრივ აქტებს;
5. დროულად აცნობოს პსდ-ს ადმინისტრაციას მისამართის ან სხვა პირადი მონაცემის ცვლილების შესახებ.

სწავლის ხელმისაწვდომლობა, უსაფრთხო გარემო

კოლეჯის შენობა სრულად ადაპტირებულია ინკლუზიური სწავლების სტანდარტების მიხედვით, სსსმ და შშმ პირთა მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხდება შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტისა და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემოს ადაპტირება.

საკონტაქტო ინფორმაცია

- ✚ ტელ: 2 20 54 24, 577178065
- ✚ ელექტრონული ფოსტა info.rtc2016@gmail.com
- ✚ ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს: <http://www.rtc.edu.ge>
- ✚ შემოგვიერთდით Facebook გვერდზე:
- ✚ ა.ა.იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
- ✚ Railway Transport College
- ✚ მისამართი: [0191, თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ](#)

Assessment criteria

Pass	Merit	Distinction
Learning aim A: Examine how algebraic, trigonometric and statistical mathematical methods can be used to solve engineering problems		A.D1 Solve accurately routine and non-routine problems using algebraic and trigonometric methods.
A.P1 Solve given routine problems using algebraic methods.	A.M1 Solve routine problems accurately and non-routine problems using both algebraic and trigonometric methods.	
A.P2 Solve given routine problems using trigonometric methods.		
A.P3 Interpret and present statistical information related to engineering problems.		
Learning aim B: Examine engineering problems involving static and direct current electricity		BCD.D2 Solve accurately routine and non-routine problems using complex electrical/electronic methods.
B.P4 Solve routine problems that involve direct currents.	B.M2 Solve routine problems accurately and non-routine problems that involve direct current networks.	
B.P5 Solve routine problems that involve direct current networks.		
Learning aim C: Examine magnetism and electromagnetic induction in engineering		BCD.D2 Solve accurately routine and non-routine problems using complex electrical/electronic methods.
C.P6 Solve routine problems that involve magnetism.	C.M3 Solve routine problems accurately and non-routine problems that involve magnetism and electromagnetism.	
C.P7 Solve routine problems that involve electromagnetism.		
Learning aim D: Examine engineering problems involving alternating current electricity and circuits		BCD.D2 Solve accurately routine and non-routine problems using complex electrical/electronic methods.
D.P8 Solve routine problems that involve alternating currents.	D.M4 Solve routine problems accurately and non-routine problems that involve alternating currents.	

დანართი 2

Unit number and title	Unit 2: Delivery of Engineering Processes Safely as a Team
Learning aim(s)	A: Examine common engineering processes to create products or deliver services safely and effectively as a team.
Assignment title	Engineering processes and human factors
Assessor	
Issue date	
Hand in deadline	

Unit number and title	Unit 2: Delivery of Engineering Processes Safely as a Team
Learning aim(s)	B: Develop two dimensional (2D) computer-aided drawings that can be used in engineering processes.
Assignment title	2D CAD drawings
Assessor	
Issue date	
Hand in deadline	

Unit number and title	Unit 2: Delivery of Engineering Processes Safely as a Team
Learning aim(s)	C: Carry out engineering processes safely to manufacture a product or to deliver a service effectively as a team.
Assignment title	Using engineering processes and working in teams
Assessor	
Issue date	
Hand in deadline	